პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 224 (3708) 16 1968 წ. ნოემბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета физической культуры и спорта при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ჭუჭუნ...

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მოსკოვის თასზე ვედრა საკავშირო-პირველობის... ზე ფეხბურთში. ...შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" დუბლიორთა შემადგენლობანი. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.



თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება მოკრივეთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი.

პირველ დღეს რინგზე გამოვიდნენ პროფკავშირთა და „სპარტაკის" ნაკრები გუნდები. სპარტაკელებმა ერთგვარი მორალური უპირატესობა მიიღეს, რადგან მათ მეტოქეებს ორ წონით კატეგორიაში მოკრივე არ გამოუყვანიათ და უბრძოლველად ჩაიწერეს ორი ქულა. მაგრამ ამან მატჩის საბოლოო შედეგზე ვერ იმოქმედა: დარჩენილი 9 შეხვედრიდან „სპარტაკის" მოკრივეებმა მხოლოდ ორში მიაღწიეს გამარჯვებას. შეხვედრის საბოლოო შედეგია 7:4 პროფკავშირთა გუნდის სასარგებლოდ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე საშუალო წონის მოკრივეების ი. ევსტიგნეევისა და სპარტაკელ გ. დილდინის შეხვედრა. ორივე სპორტსმენმა ლამაზი, ტექნიკური კრივი აჩვენა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ევსტიგნეევმა.

მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოსა" და „ზენიტის" მოკრივეები. ამ შეხვედრაში აშკარა იყო უპირატესობა დინამოელი სპორტსმენებისა, რომლებმაც იზეიმეს კიდეც დამაჯერებელი გამარჯვება — 9:2. საინტერესო იყო სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალისტის, ი. ვიალჩენკოვისა და „ზენიტის" ჩემპიონ ვ. ომჩუკოვის შეხვედრა. გაიმარჯვა დინამოელმა.

შეჯიბრება 18 ნოემბრამდე გასტანს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივე რ. აბდრახმანოვი („დინამო") უტევს ვ. გალიონოვს (მარჯვნივ); მარჯვნივ — მეორე საშუალო წონის მოკრივის ვ. უტეშოვისა („დინამო") და ვ. ნოვიჩკოვის (მარცხნივ) ორთაბრძოლის მომენტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ბაზაზე შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. გ. ვ. სიხარულიძე.

(საქინფორმი).

ჩემპიონები...

თბილისში დამთავრდა კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ნაწილი. ქალთა მთელი ტურნირი წარმატებით ჩაატარა უნივერსიტეტის გუნდმა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და იუბილარს ღირსეული საჩუქარი მიუძღვნა.

გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა ბრძოლა II და III ადგილებისთვის. აქ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ „უშბის" (ყოფილი „დინამო"), თბილისის განათლების განყოფილებისა და აფხაზეთის წარმომადგენლები. უძლიერესის გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლების განყოფილებისა და „უშბის" გუნდების შეხვედრას. ნორჩმა კალათბურთელებმა აღმავლობით ჩაატარეს ეს მატჩი. ისინი ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ მეორე ტაიმის მიწურულს „უშბის" გამოცდილმა კოლექტივმა შესძლო 10-12-ქულიანი სხვაობის შემცირება და ბოლოს გაათანაბრა კიდეც ანგარიში. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 59:59. დამატებით ხუთ წუთში თავი იჩინა ნორჩების გამოუცდელობამ. „უშბამ" გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა და გაიმარჯვა — 73:67. ამ მოგებით მან II საპრიზო ადგილი გაინაღდა. სატურნირო ცხრილის მესამე საფეხური წილად ხვდა აფხაზეთის კოლექტივს.

ვაჟებში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის მთავარი ბრძოლა თბილისის სამ კოლექტივს შორის გაიმართა: „სინათლის", „ცისარტყელასა" (ორივე — „სპარტაკი") და უნივერსიტეტის გუნდებს შორის. ფინიშზე ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სამივე საპრიზო ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა „სინათლისა" და „ცისარტყელას" შეხვედრას. ამ დროისთვის უკეთესი პოზიცია „სინათლეს" ჰქონდა — იგი დაუმარცხებლად ლიდერობდა ტურნირს. „ცისარტყელას" და უნივერსიტეტის კოლექტივს კი თითო-თითო შეხვედრა ჰქონდათ წაგებული. კიდევ მეტიც, „სინათლეს" ჩემპიონობისთვის ჰყოფნიდა... ექვსი ან ნაკლები ქულით დამარცხებაც კი.

მაგრამ ეს არ მოხდა. საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში ლიდერმა დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია — 68:63 (38:35). „სინათლის" წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით გუნდის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ა. ვაჩაძეს, კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. მინაშვილს, აგრეთვე, ე. ვასილიევს, ლ. მუშტარაულს, რ. გოგელიას, მ. ასიტაშვილს, ვ. ლაზკოსა და სხვ.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გათამაშების საბოლოო ცხრილები

ქალები

გუნდი	თ.	მ.	წ.	ქ.
უნივერსიტეტი	5	5	0	5
„უშბა"	5	4	1	4
აფხაზეთი	5	3	2	3
განათლების განყოფილება	5	2	3	2
„შრომითი რეზერვები"	5	1	4	1
ფიზკულტურის ინსტიტუტი	5	0	5	0

ვაჟები

გუნდი	თ.	მ.	წ.	ქ.
„სინათლე"	5	5	0	5
უნივერსიტეტი	5	4	1	4
„ცისარტყელა"	5	3	2	3
„დინამო" (იუნიორები)	5	2	3	2
ქუთაისი	5	1	4	1
აფხაზეთი	5	0	5	0

მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის

ამას წინათ საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების მუშაობის გრაფიკზე და სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზაციის მიზნით მიიღო შესაბამისი დადგენილება. კერძოდ, პრეზიდიუმმა დაადგინა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა კადრებისა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების მუშაობის გრაფიკი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

სპორტკავშირის საბჭოებსა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს დაევალათ მუდმივმოქმედი კურსების მსმენელობის კანდიდატთა სიები საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციომასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილებაში წარადგინონ, როგორც წესი, 20 დღით ადრე ყოველი ნაკადის მეცადინეობის დაწყებამდე.

გთავაზობთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა კადრებისა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების მუშაობის გრაფიკს 1968-69 სასწავლო წლისთვის:

I ნაკადი. 25 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე გამოძახებული არიან „განთიადის" ცენტრალური საბჭოს (10 კაცი) და „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს (11) მეთოდისტები ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე და 16 დეკემბრიდან 1969 წლის 16 იანვრამდე გამოძახებული იქნებიან თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის ახალგაზრდული სკოლის მწვრთნელები (40-40).

II ნაკადი. 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე გამოძახებული იქნებიან „განთიადისა" (15) და „კოლმეურნის" (20) ცენტრალური საბჭოების, „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს (15) მეთოდისტები ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან.

III ნაკადი. 5 იანვრიდან 1 თებერვლამდე გამოძახებული იქნებიან „კოლმეურნის" (15), „განთიადის" (10) ცენტრალური საბჭოების, „სპარტაკის" (15), „ლოკომოტივის" (10) რესპუბლიკური საბჭოების საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები.

IV ნაკადი. 3 თებერვლიდან 3 მარტამდე გამოძახებული იქნებიან „კოლმეურნის" (20), „განთიადის" (15) ცენტრალური საბჭოებისა და „სპარტაკის" (15) რესპუბლიკური საბჭოს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები.

დაწინაურდა რ. ჯინჯიხაშვილი

გორი, 15 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ჭადრაკში ცნობილი ქართველი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მემორიალი.

გუშინ გაიმართა II ტური, რომელშიც მხოლოდ ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და ა. გურგენიძე უკვე მე-15 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ე. გუფელდ — ი. ჩიქოვანის შეხვედრა. რ. ჯინჯიხაშვილმა სძლია ზ. მიქაძეს, ლ. გრიგორიანმა — ე. უბილავას. ა. ბოკუჩავა — გ. მუკნიაშვილის პარტია გადაიდო.

2 ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერი გახდა რ. ჯინჯიხაშვილი — 2 ქულა.

◆ ბუქარესტი, 15 ნოემბერი. თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდი „ბუქარესტის თასზე" საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე 4 საათით ადრე ჩამოვიდა და რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ფრედ ითამაშა — 19:19 (12:13). უამინდობის გამო თბილისელი სპორტსმენები 12 ნოემბერს ვარშავიდან ვერ გამოფრინდნენ და ბუქარესტამდე დასაჯდომადგილებიანი სამგზავრო მატარებლიდან მატარებელში გადაჯდომით ჩამოვიდნენ რუმინეთის დედაქალაქში.

...საათი

თამაში თავიდანვე მწვავედ წარიმართა და ფინალურ სასტვენამდე ყოველი ქულისთვის წარმოებდა ბრძოლა. „ბურევესტნიკის" მწვრთნელმა ბაგრატიონმა განსაკუთრებით აღნიშნა ყურცვაძის თამაში. მიუხედავად ვაძლიერებული მეურვეობისა, ცერცვაძემ 7 ბურთი გაიტანა. 5 გოლის ავტორია ფხაკაძე.

◆ ოსაკა, 15 ნოემბერი. მჩატე წონის ძალოსანთათვის მსოფლიოს ახალი რეკორდის ავტორი გახდა იაპონელი ათლეტი კ. მიკი. მან სტუდენტთა ეროვნულ ჩემპიონატში აიტაცა 113,5 კგ. 9 წელიწადია, რაც მსოფლიო რეკორდს ატაცში ამ წონით კატეგორიაში იაპონელი ძალოსნები ფლობენ. ბოლო რეკორდის ავტორი იყო ც. კიმურა.

დაგეგმვისა და ანგარიშგების შესახებ რესპუბლიკის საფეხბურთო გუნდებში

დაგეგმვისა და ანგარიშგების მოწესრიგებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს და მოქმედებაში შევიდეს ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ დამუშავებული ყოველთვიური და წლიური ანგარიშგების ფორმები და შეხამისი ინსტრუქცია.

2. რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა ყველა გუნდმა წლიური ანგარიშები (დაწყებული 1968 წლის ანგარიშით) და წლიური გეგმები (დაწყებული 1969 წლის გეგმით) ამიერიდან ფედერაციაში უნდა წარმოადგინოს დადგენილი ფორმების მიხედვით და ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვადებში.

3. სასწავლო-მეთოდურ საბჭოს მიეცეს წინადადება არა უგვიანეს 1 დეკემბრისა უზრუნველყოს პრაქტიკული ინსტრუქტაჟი ადგილებზე დოკუმენტაციის დაგეგმვისა და ანგარიშგების ახალი ფორმების მიხედვით შედგენაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.

დაგეგმვისა და ანგარიშგების მოწესრიგების თაობაზე

გულახდილად უნდა ითქვას, ჩვენს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში (განსაკუთრებით კი „ბ“ კლასში) წვრთნის დაგეგმვა და ანგარიშგება სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ეს აიხსნება ცალკე იმ გარემოებით, რომ ჩვენში ყველა მწვრთნელს როდი აქვს საშტაბო მუშაობის გემოვნება და ამ დოკუმენტაციის წარმართვის უნარი, მაგრამ უფრო მეტად დამნაშავეა ობიექტური გარემოება: დადგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილი არ არის.

დაგეგმვის არსებული ფორმები ძნიმეა (წლიური გეგმა, მაგალითად, მთელ რვეულს შეადგენს), არ შეესაბამება მეცადინეობის ფაქტიურ ორგანიზაციას და არ უზრუნველყოფს მუშაობის ანალიზს, რამდენადაც ანგარიშების მაჩვენებლები გეგმის მაჩვენებლებთან იდენტური არაა. ამგვარად, გუნდებში დაგეგმვის დანერგვისა და ვანმტკიცებისთვის პირველ ყოვლისა საჭირო იყო დაგეგმვისა და ანგარიშგების ფორმების გამარტივება, შემოკლება, უფრო ხელმისაწვდომად ქცევა. საწვრთნელი პროცესისა და ერთიმეორისთვის შესაბამისი სახის მიცემა. ამ მიზნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაამუშავა ყოველწლიური და ყოველთვიური დაგეგმვისა და ანგარიშგების გამარტივებული ფორმები. საკმარისია აღინიშნოს, რომ წლიური გეგმა (როგორც ანგარიში) მოცულობით სულ რვეულის გაშლილ ფურცელს უდრის.

უფრო მოხერხებული რომ იყოს, ჩვენს ფორმებში პრაქტიკული მეცადინეობა მხოლოდ სამ მთავარ ჯგუფადაა დაყოფილი: 1 — ორმხრივი თამაშები; 2 — ვარჯიში ფეხბურთის ბურთის გარეშე; 3 — ვარჯიში ფეხბურთის ბურთით.

პირველი ჩვენ მთავარ ვარჯიშად მივიჩნიეთ, მეორე — უმეტესად თვისებების სრულყოფისკენ მიმართულ, ზოგადგამავითარებელ დამატებით ვარჯიშად, მესამე — ერთდროულად ჩვევებისა და უნარის გამავითარებელ, სპეციალურ დამატებით ვარჯიშად.

საწვრთნელი მეცადინეობების დრო შემდეგაც დავუკავეთ ვარჯიშების სახეთა მიხედვით (მაგალითად, ბურთთან ცალკე, წყვილად, ჯგუფად მუშაობა) და არა მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, რაც შეიძლება ძალიან ხანგრძლივი იყოს. მაგალითად, ერთი და იგივე ვარჯიში ბურთით და მასზე დახარჯული დრო შეიძლება ნაჩვენები იქნას როგორც რაიმე თვისების (ძალა, მოქნილობა, ამტანობა, სიხშირაფე), ისე ტექნიკისა და, ბოლოს, ტაქტიკის სრულყოფაშიც. სად მოვათავსოთ იგი? იქნებ სჯობდეს და უფრო მარტივიც იყოს დაგეგმოთ ვარჯიშების სახეობები და არა მათი მნიშვნელობა? საქმეში ჩახედული კაცი ვარჯიშის ცვლის სურათის მიხედვით ადვილად შეიქმნის მკაფიო წარმოდგენას წვრთნის მიმართულებაზე. ჩვენ კი დაგეგმვასა და ანგარიშს წვრთნის ფაქტიურ ორგანიზაციას ვუახლოებთ, რითაც თავიდან ვიცილებთ არეულ-დარეულობას და ვარჯიშების დუბლირებას.

რასაკვირველია, ჩვენი ფორმები იდეალად არ მიგვაჩნია. როგორც ჩანს, თანდათანობით, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად შესაძლებელი და საჭირო გახდება მათი რაციონალიზაცია, მაგრამ უკვე ახლავე ნათელია, რომ ამ ფორმების დანერგვა იძლევა საშუალებას შემოვიღოთ ერთგვარი, ყველასთვის მისაწვდომი და მომზადების პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის საკმარისი დაგეგმვა საწვრთნელი მეცადინეობებისა. დაგეგმვისა და ანგარიშგების ფორმათა იდენტიფიკაცია კი საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ და განვამტკიცოთ ანალიტიკური მუშაობა გუნდებში, დაგეგმვის დროს დავეყრდნოთ ფაქტობრივ მასალას.

ჩვენი მიზანია ორგანიზაციული საკითხი — დაინერგოს დაგეგმვა და ანგარიშგება ისე, რომ მწვრთნელებისთვის ზედმეტი ტვირთი კი არა, ერთგული შემწე იყოს, მუშაობის წარმმართველად და მისი დოკუმენტების გამაანალიზებლად იქცეს.

დაგეგმვა და ანგარიშგება უნდა იქცეს კანონად — ოსტატთა თვითეული გუნდის მუშაობის მთავარ დოკუმენტებად. აქ ყოველგვარი შეღავათი გამორიცხულია. ოსტატთა გუნდის მწვრთნელი არ შეიძლება იყოს გაუნათლებელი კაცი, კაცი, რომელსაც არა აქვს თუნდაც წვრთნის რაციონალური ორგანიზაციისთვის აუცილებელი ცოდნა, რომელსაც არ შეუძლია მისაწვდომი ფორმით დაგეგმოს კოლექტივის მუშაობა და თვალი ადევნოს ამ გეგმის შესრულებას. დაგეგმვა-ანგარიშგების დოკუმენტაციის წარმოება მწვრთნელის ფუნქციებში შედის. როგორც აუცილებელი და მნიშვნელოვანი სამუშაო. ვისაც ეს არ შეუძლია, მან არც მწვრთნელის რთულ საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ ის მცდარი აზრი, თითქოს გეგმები და ანგარიშები სჭირდება ყველას, გარდა გუნდებისა და მწვრთნელებისა. საბუთები აუცილებელი პირობაა მზადების რაციონალური, ეკონომიური ორგანიზაციისა. და ეს საბუთები პირველ ყოვლისა სჭირდებათ თვით მწვრთნელს, თვით გუნდს.

მუშაობა გეგმით უნდა იწყებოდეს და ანგარიშგებით მთავრდებოდეს. ასეთია საერთო კანონი. და პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ იგი არც ისე უსარგებლოა. ამ წესს მტკიცედ უნდა იცავდეს ყველა ჩვენი მწვრთნელიც, მთელი ჩვენი ფეხბურთი.

ვ. ჟღენტი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი.

ინსტრუქცია

წვრთნის გეგმებისა და ანგარიშების შედგენისა დაგეგმვის და ანგარიშგების ახალი ფორმების მიხედვით

შესავალი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ ოთხი ამოცანის გამო დაამუშავა ყოველთვიური (ოპერატიული) და ყოველწლიური (მიმდინარე) დაგეგმვისა და ანგარიშგების საკუთარი ფორმები. ეს ამოცანებია:

1. დოკუმენტაციის დაახლოების აუცილებლობა მეცადინეობის ფაქტიურ ორგანიზაციასთან;

2. დოკუმენტაციის გამარტივებისა და შემოკლების აუცილებლობა;

3. დაგეგმვისა და ანგარიშგების ფორმების იდენტიფიკაციის აუცილებლობა;

4. სუფთა საანგარიშო დაგეგმვიდან ანგარიშგების მასალაზე დაფუძნებულ დაგეგმვაზე გადასვლის აუცილებლობა, რაც მას უფრო რეალურსა და ნაკლებ შრომატევადს გახდის.

ყოველთვიური გეგმა-ანგარიში (ფორმა: „ოპერატიული გეგმა-ანგარიში“)

1. კალენდარულ დღეებად დაყოფილი ერთი თვის გეგმა შეიძლება შევადგინოთ არა ერთბაშად მთელი თვისთვის, არამედ თანდათანობით, ციკლების, კვირეებისა და დეკადების მიხედვით, ჯერ ერთი, შემდეგ მეორე კვირისთვის და ა. შ. მაგრამ თვის ბოლოსთვის გეგმის ეს ყოველდღიური მონაცემები აუცილებლად უნდა დაჯამდეს ერთ სვეტში — „თვე“ (ფორმაში შეცდომით დაბეჭდილია „წელი“).

2. ერთი დღის ფაქტიური შედეგები მაშინვე უნდა შევიტანოთ გეგმა-ანგარიშის შესაბამის უჯრაში. თვის ბოლოს ეს ყოველდღიური მონაცემებიც ჯამდება და შეგვაქვს სვეტში—„თვე“, იქიდან კი მაშინვე გადაგვაქვს წლიურ ანგარიშში. ამგვარად, თუ ამ წესს მკაცრად დაეცავთ, ყოველთვიური მონაცემები თავის დროზე აღმოჩნდება ადგილზე შეტანილი და წლიური ანგარიშისთვის მხოლოდ მათი დაჯამება დაგვჭირდება.

3. გრაფიკი ასე დგება: ვთქვათ, თვის პირველ რიცხვებში დასვენების დღე გაქვთ დაგეგმილი — გრაფაში „დასვენების დღეები“ შესაბამის უჯრაში წერტილი დასვით; მეორე რიცხვში დაგეგმეთ მეცადინეობა ხაშუალო დატვირთვით — წერტილს სვამთ შესაბამის ადგილზე; მესამე რიცხვში დაგეგმილი გაქვთ მეცადინეობა დიდი დატვირთვით — წერტილი დასვით იქ და ა. შ. შემდეგ ეს წერტილები ხაზით შეაერთეთ (წითელი ხაზით — გეგმისა, ლურჯით — ფაქტიური) და მიიღებთ გრაფიკის მრუდს, რომელიც გამოხატავს გუნდის დატვირთვისა და სპორტული ცხოვრების რეჟიმს.

გრაფიკი მოიცავს პირველ 8 სტრიქონს, ესე იგი პირველიდან („ოფიციალური შეჯიბრებები“) მერვე პუნქტის („დასვენების დღეები“) ჩათვლით. გამოთვალეთ გრაფიკის მიხედვით თვეში რამდენი ესა თუ ის დღე დაგროვდება (შეჯიბრებები, სხვადასხვა სახის მეცადინეობა, გადასვლა-გადმოსვლა, დასვენების დღე) და შესაბამის უჯრაში ციფრებით ჩაწერეთ ერთი თვის შედეგები. **ამ დღეების ჯამი აუცილებლად უნდა უდრიდეს თვის კალენდარული დღეების რიცხვს, არც მეტი, არც ნაკლები.**

4. დაწყებული მეცხრე პუნქტიდან („მეორე მეცადინეობა“), იმ დღეებში, როცა დაგეგმილია ან ფაქტიურად ჩატარდა დამატებითი მეცადინეობა, ან სამედიცინო კონტროლი (სამ-ოთხჯერ წელიწადში), ან საკონტროლო გამოცდა ნორმატივების მიხედვით, ან თეორიული მეცადინეობა და ჩათვლა (მატჩების თამაშისწინა და თამაშისშემდგომი გარჩევის ჩათვლით) შესაბამის უჯრაში სვამთ ერთიანს ან ჯვარს და თვის ბოლოს აჯამებთ მათ.

5. როცა ცალკეული ვარჯიშებისთვის დროს გეგმავთ, უნდა იცოდეთ, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე დრო ორჯერ გამოიყენოთ. მაგალითად, „საშეჯიბრებო (ფორმაში შეცდომით დაბეჭდილია „შეჯიბრება“) და სათამაშო ვარჯიშებისთვის განკუთვნილი დრო“ ხელმეორედ ჩაწეროთ „სპორტული თამაშების“ ან სხვა რომელიმე გრაფაში. თავისთავად ცხადია, ეს შენიშვნა არ ეხება 29-ე და 30-ე პუნქტებს, ვინაიდან ამ პუნქტებმა უნდა გვიჩვენონ, „მათ რიცხვში“ ბურთით ვარჯიშისთვის განკუთვნილი რამდენი დრო მოხმარდა კარში დარტყმას და სათამაშო ვარჯიშებს.

6. გაგახსენებთ, რომ ცალკეული დღეებისთვის საწვრთნელი დრო იანგარიშება წუთებში, თვის მანძილზე — საათებში.

წლიური გეგმა (ფორმა: „გეგმა“)

1. ამოცანები. აქ უნდა ჩაიწეროს, რა ღონისძიებებში რა სპორტული შედეგების მოპოვება სურს გუნდს. მაგალითად: „ბ“ კლასის IV ჯგუფის პირველობაში“, ან „დასკვნით ტურნირში“, ან „ენძელაში“, ან „ფეხბურთელთა „ა“ კლასის გუნდებისთვის მზადებაში“ და ა. შ. შარშანდელ შედეგებში ვსვამთ ფაქტობრივ მაჩვენებლებს — დაკავებულ ადგილებს, უმაღლესი ჯგუფების ან ნაკრები გუნდებისთვის მომზადებულ ფეხბურთელებს (თუ გვყავს). გრაფაში — „განზრახულია“ ასევე უნდა ჩაიწეროს ამ ღონისძიებებში რა სპორტული შედეგების მოპოვებას ისახავს მიზნად გუნდი.

2. განმარტებითი ბარათი. კონსპექტური სახით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რას და რატომ მიაქცევს უმთავრეს ყურადღებას გუნდი საწვრთნელ მეცადინეობებზე. მაგალითად: „წლეულს გუნდი ინდივიდუალური წვრთნის ინტერესებით ზრდის დამატებით მეცადინეობათა რიცხვს. უმეტესი ყურადღება დაეთმობა მოქნილობის სრულყოფას. ზამთრის პეროიდში დაგეგმილია, რომ იარაღებზე ვარჯიშს მეტი დრო დაეთმოს. უკმარია სისწრაფის ამტანობა, თამაში გასწრებისთვის და უბურთოდ, თეორიული ცოდნა. სუსტია მოუმზადებლად კარში დარტყმა. გეგმაში ამ ამოცანებზე ყურადღება გამახვილებულია“.

3. არასაწვრთნელი (პ. 5) და საწვრთნელი (პ. 6) დღეები ყოველი თვისა და ყოველი წლის ჯამში აუცილებლად უნდა შეადგენდნენ კალენდარული დღეების საერთო რიცხვს ამა თუ იმ თვისა და წლისთვის.

4. მე-7 პუნქტში აღინიშნება მხოლოდ საერთო სამედიცინო შემოწმებები, რაც გათვალისწინებულია წელიწადში 3-4-ჯერ.

5. საწვრთნელი დღეების საერთო რიცხვი (პ. 6.) მუდამ უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი საწვრთნელი შეცადინეობების — ორმხრივი თამაშების, დიდი, საშუალო და მცირე დატვირთვით (პუნქტები 10+11+12+13) ვარჯიშების ჯამს, მაგრამ დამატებითი მეცადინეობა (პ. 14), როგორც დღის განმავლობაში მეორე, ამ ჯამს ზევით მოდის. ესე იგი, ყველა საწვრთნელი მეცადინეობის საერთო რიცხვი მუდამ გადააჭარბებს საწვრთნელი დღეების ჯამს **დამატებით მეცადინეობათა რიცხვით.**

მაგალითი. ვთქვათ, მარტში 21 საწვრთნელი დღე გაქვთ (პ. 6). ორმხრივი თამაშისთვის გამოყოფილი გაქვთ 4, დიდი დატვირთვით მეცადინეობისთვის — 4, საშუალო დატვირთვით ვარჯიშისთვის—9; მცირე დატვირთვით მეცადინეობისთვის — 8 დღე. ამგვარად, სულ 29, ძირითადი კი ზუსტად 21 მეცადინეობა გექნებათ. 8 „ზედმეტი“ დამატებით მეცადინეობაზე მოდის.

6. განყოფილებაში — „საწვრთნელი დრო საათებში“ არ შეიძლება ერთი და იგივე დრო ორჯერ მიუთითოთ სხვადასხვა ვარჯიშში (გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა ეს დრო „მათ რიცხვში“ შედის. პუნქტები 32-ე, 33-ე და 35-ე, 36-ე, 37-ე).

7. განყოფილებაში „მეცადინეობის ძირითადი დრო“, როგორც ფეხბურთის ბურთის გარეშე, ისე ფეხბურთის ბურთით ვარჯიშებში საათები ნაჩვენებია მოთელვისა და დასკვნითი ვარჯიშების გამოკლებით.

8. ამისგან განსხვავებით, 35-ე 36-ე, 37-ე პუნქტებში დრო იანგარიშება **მოთელვისა და დასკვნითი ვარჯიშის ჩათვლით.**

9. ინტენსივობის კოეფიციენტი წარმოადგენს უფრო ინტენსიური წვრთნისთვის საჭირო (ორმხრივი თამაში, დიდი დატვირთვით ვარჯიში და დამატებითი მეცადინეობა) საჭირო საათების ჯამის შეფარდებას მთელ საწვრთნელ დროსთან, ესე იგი, პუნქტები 35+36+37:34. ეს მაჩვენებელი მუდამ ერთზე ნაკლები იქნება, ამასთან ასეულამდე უნდა დამრგვალდეს (ვთქვათ, 0,54).

10. თეორიულ მეცადინეობაში შედის მატჩების თამაშისწინა და თამაშისშემდგომი გარჩევაც.

11. მე-40 პუნქტში—„დილის ტანვარჯიში“ იანგარიშება მხოლოდ ის დრო, რომელსაც მწვრთნელი აწოწმებს, ესე იგი, როცა გუნდი კოლექტიურად მეცადინეობს დილის ტანვარჯიშში. ფეხბურთელების საშინაო მეცადინეობა საათვალაში არ შედის.

წლიური ანგარიში (ფორმა: „ტექნიკური ანგარიში“)

წლიური ანგარიშის ფორმა გეგმის იდენტურია. შესაბამისად, მითითებები გეგმის შედგენის თაობაზე პირდაპირ კავშირშია ანგარიშთანაც. მაგრამ:

1. განმარტებითი ბარათში, რომელსაც ისევ კონსპექტური ფორმა აქვს, აუცილებლად უნდა აიხსნას ყველა განსხვავება გეგმასა და ფაქტს შორის. ამას გარდა:

ა. უნდა დავასახელოთ უმაღლესი ჯგუფების ან ნაკრები გუნდებისთვის მომზადებული ფეხბურთელები (ვიმეორებ, თუ გვყავს);

ბ. **უნდა მოვიყვანოთ გუნდის წლიური შემოსავალი და გასავალი.**

2. ფაქტობრივი მონაცემები ცალკეული თვეების მიხედვით ყოველთვიური ოპერატიული გეგმა-ანგარიშიდან თვის დამთავრებისთანავე უნდა გადავიტანოთ წლიურ ანგარიშში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საანგარიშო დისციპლინის უხეშ დარღვევად ჩაითვლება.

ორგანიზაციული საკითხები

1. „ოპერატიული გეგმა-ანგარიში“ თვალსაჩინო ადგილზე უნდა ეკიდოს მწვრთნელის სამუშაო ოთახში, საწვრთნელ ბაზაზე ან სხვა შენობაში.

2. წლიური გეგმა, ანგარიში და ყოველთვიური გეგმა-ანგარიშები ერთად ინახება სხვადასხვა წლისა სხვადასხვა საქაღალდეში.

3. გეგმები და ანგარიშები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენილი უნდა იქნას არა უგვიანეს 15 იანვრისა. ეს გეგმები და ანგარიშები განიხილება და მტკიცდება ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ გუნდის წარმომადგენელთან ერთად. ამასთან, ერთი ეგზემპლარი უბრუნდება გუნდს, მეორე კი ფედერაციის საქმეებში ინახება.

სასწავლო-მეთოდური საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და ასე აეთავრებოდნენ

ბოლო „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირის საუ-ლეში, XXX საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩი ჩვენს მინდორზე და გულშემატკივრებსაც ახალი სალაპარაკო მოეცემათ. ზოგი უკვე განვლილი პირველობის სასიამოვნო მომენტებს გაიხსენებს, ზოგი სხვა ქალაქებიდან ეკრანზე ხილულ მატჩებს მოიგონებს, ზოგიც — მეხსიერებაში ჩარჩენილი დინამოელთა უკანასკნელი შეხვედრების ანგარიშებს. ერთი სიტყვით, მოსაგონარი ბევრი იქნება, მით უმეტეს, რომ დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს სწორედ ბოლო მატჩებში. ამასთან, საინტერესო ისაა, რომ თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ბოლო შეხვედრებს მუდამ მრავალი დრამატული მომენტი ახლდა და სწორედ ამდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემპიონატურნირო ცხრილში გუნდების განლაგებისთვის. მარტო 1964 წლის სეზონის გახსენება რად ღირს! მაგრამ ეს ვიქნებით სულსწრაფები და მოთმინებით გავადევნოთ თვალი თბილისელთა ბოლო შეხვედრების ისტორიას.

მაგ ასე, 1936 წელი. დინამოელები სსრ კავშირის I ჩემპიონატში (გაზაფხული) „ბ“ კლასში ასპარეზობდნენ. 2 ივლისს მათ ბოლო მატჩი მოსკოვში გამართეს ადგილობრივ „სერპ ი მოლოტთან“. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ ასევამაზოვმა და სომოვმა 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს— 2:0. თბილისელებმა უმაღლესი ლიგის საგუნარი მოიპოვეს. და აი, 30 ოქტომბერს ბოლო მატჩში ისინი მოსკოვის „ლოკომოტივს“ მასპინძლობდნენ. პირველ ტაიმში ბერძენიშვილმა გაიტანა გოლი; ბოლო მეორეში — პაიჭაძემ. თამაშის მაწურულს რკინიგზელები „მწრალი“ ანგარიშით წაგებას გადაურჩნენ—2:1.

დინამოელებმა ბოლო შეხვედრა 1937 წელსაც 30 ოქტომბერს გამართეს და მათი მეტოქეები კვლავ მოსკოველი რკინიგზელები იყვნენ. მიუხედავად უპირატესობისა, ქართველმა ფეხბურთელებმა გოლი ვერ გაიტანეს — 0:0.

1938 წლის 6 ნოემბერს დინამოელებმა მიიღეს მოსკოვის „მეტალურგი“ და გაიმარჯვეს — 3:2.

1939 წლის 30 ნოემბერს თბილისელები ოდესელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. მეორე ტაიმში პაიჭაძის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა — 1:0.

1940 წლის 17 ნოემბერს ჩვენები მოსკოვის „მეტალურგს“ მასპინძლობდნენ. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა ბერეზინმა. შესვენების შემდეგ ბერძენიშვილმა და პანიუკოვმა კიდევ 2 გოლი გაიტანეს, რაზეც სტუმრებმა ერთი ბურთით უპასუხეს — 3:1.

1941 წლის ჩემპიონატი დიდი სამამულო ომის დაწყების გამო შეწყდა, ხოლო ბოლო შეხვედრაში (24 ივნისი) თბილისელებმა დაამარცხეს სტუმრები — ლენინგრადელი თანაკლუბელები — 3:2. სამივე გოლი შესვენებამდე გაიტანა ბრწყინვალედ მოთამაშე პაიჭაძემ.

1945 წელს საკავშირო ჩემპიონატი განახლდა. ბოლო მატჩი დინამოელებს 23 სექტემბერს ჰქონდათ მოსკოვში ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან“, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

1946 წლის 1 სექტემბერს დინამოელები ბოლო თამაშში პირველად შეხვდნენ თავიანთ დღევანდელ მეტოქეებს. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა გ. ჟარკოვმა. მეორე ნახევარში ეს ვალი მან გაიტანა გოლი. მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე პროკოფიევმა 3:0-მდე გაზარდა ანგარიში. შეხვედრის დამთავრებას 9 წუთი ადრე აკლდა, ღოღობერიძემ შეამცირა ანგარიში, ხოლო შემდეგ ხარბედიამ ანგარიშიც გაქვითა ანგარიში. მსაჯის საფინალო სასტვენამდე წამები ითვლებოდა, როცა მოშკარკინმა გამარჯვება მოუტანა ტორპედოელებს — 4:3.

1947 წლის 19 ოქტომბერს ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბოლო თამაშში, ოღონდ, ამჯერად თბილისში. მასპინძლებმა დამაჯერებელი ანგარიშით აიღეს — 4:1. დინამოელთაგან გოლების ავტორები იყვნენ ღოღობერიძე, ს. ჯიჯელავა (2) და... ტორპედოელთა მცველი გომესი, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

1948 წლის 23 სექტემბერს თბილისელები სტალინგრადში ეთამაშნენ ადგილობრივ „ტორპედოს“ და ფრეს (0:0) დასჯერდნენ.

1949 წლის 7 ოქტომბერს დინამოელებმა უმასპინძლეს მოსკოვის „ლოკომოტივს“. 11-მეტრიანი საჯარიმოდან ღოღობერიძის მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება ჩვენებს მოუტანა — 1:0.

1950 წლის 27 სექტემბერს თბილისელებმა შინ დაამარცხეს ლენინგრადელი თანაკლუბელები — 3:1. გამარჯვებულთაგან გოლების ავტორები იყვნენ მახარაძე და ღოღობერიძე (2).

1951 წლის 17 სექტემბერს დინამოელები სტალინოს „შახტიორს“ შეხვდნენ და ქულები გაინაწილეს — 1:1. მასპინძელთაგან გოლის ავტორია ვარდიმიადი.

1952 წელს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჩემპიონატი ერთ წრედ მოეწყო (ყველა გუნდი მოსკოვში თამაშობდა). 12 ოქტომბერს ქართველი ფეხბურთელები მოსკოვის ვვს-ს შეხვდნენ. გამარჯვების გოლი კვლავ ვარდიმიადიმ გაიტანა — 1:0.

1953 წლის 7 სექტემბერს მოსკოვში ისევ შევხვდით დღევანდელ მეტოქეებს და დავმარცხდით — 1:4. დინამოელთა ერთადერთი გოლის ავტორია ღოღობერიძე.

1954 წლის 22 აგვისტოს მოსკოვში ადგილობრივ რკინიგზელებს ვეთამაშეთ და დიდი ანგარიშით წაგაგეთ — 1:6. სტუმართაგან გოლი გაიტანა გაგნიძემ.

1955 წლის 20 ნოემბერს თბილისელები მოსკოვის სპარტაკელებს მასპინძლობდნენ და დამარცხდნენ — 1:2. მასპინძელთაგან გოლი გაიტანა კალოევმა.

1956 წლის 21 სექტემბერს სვერდლოვსკში ადგილობრივ არმიელებთან დავმარცხდით — 2:4. ჩვენი გუნდიდან გოლების ავტორები იყვნენ ღოღობერიძე და ... მასპინძელთა ნასვეარმცველი დუბინსკი, რომელმაც საკუთარ კარში გაიტანა გოლი.

1957 წლის 14 ნოემბერს თბილისელები მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივს“ შეხვდნენ. ფრე — 0:0.

1958 წლის 15 ოქტომბერს დინამოელებმა შინ ფრედ (1:1) ითამაშეს კიმინიოვის „მოლდოვასთან“. მასპინძელთაგან გოლი გაიტანა გაგნიძემ.

1959 წლის 31 ოქტომბერს თბილისელებმა კუიბიშევში „კრილია სოვეტოვი“ დაამარცხეს — 2:1. გოლების ავტორები — კალოევი და ზეინკლიშვილი.

1960 წლის 22 ოქტომბერს მინსკის „ბელარუსის“ ნასვეარმცველის ჟუკოვის გოლმა მასპინძლების გაამარჯვებინა — 1:0.

1961 წელსაც ბოლო მატჩი 22 ოქტომბერს მოეწყო, ოღონდ, ამჯერად თბილისში. დინამოელთა მეტოქე მოსკოვის „სპარტაკი“ იყო. უფერული თამაში ფრედ (0:0) დამთავრდა.

1962 წლის 18 ნოემბერს თბილისელებმა მოსკოვის არმიელებს უმასპინძლეს. მატჩის ბოლო წუთებზე არმიელმა სტრუშნიმ გაიტანა გოლი — 1:0.

1963 წლის 26 ნოემბერს დინამოელები მოსკოვის „ლოკომოტივს“ შეხვდნენ. ფრე — 2:2. მასპინძელთაგან გოლების ავტორები იყვნენ ბარქაია და ხურცილავა.

და, ბოლოს, „ოქროს წელი“. 8 ნოემბერი. ბოლო თამაში საკუთარ მინდორზე იაროსლავლის „შინიკთან“. მხოლოდ მოგება იძლევა შანსს დავეწიოთ მოსკოვის „ტორპედოს“. მატჩის 62-ე წუთი — ფრე — 1:1 (ბურთი გაიტანა იამანიძემ). 63-ე წუთზე მეტრველის მეორე გოლი, ხოლო 82-ე წუთზე თბილისელთა კაპიტნის იამანიძის კიდევ ერთი ბურთი — 3:1.

... 1964 წლის 18 ნოემბერი. ტაშკენტი. ფეხბურთის გულშემატკივრებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს დღე, როცა ოქროს მედლებისთვის დამატებით მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ძველი მეტოქეები — თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. ამ შეხვედრაზე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ მხოლოდ მატჩის ანგარიშის შეხსენებით დავკმაყოფილდებით — 4:1. მატჩის ნამდვილი გმირი დათუნაშვილი გახლდათ, რომელმაც 2 გოლი გაიტანა. დანარჩენი ორი გაიტანეს შესხმა და მეტრველმა (11-მეტრიანი საჯარიმოდან).

ზუსტად 3 წლის წინ თბილისელები ბოლო მატჩში მოსკოვის არმიელებს მასპინძლობდნენ. მოგება — 2:1, ორივე ბურთის ავტორია იამანიძე.

1966 წლის 30 ნოემბერს ქუთაისში ერთმანეთს შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდი — თბილისის „დინამო“ და ადგილობრივი „ტორპედო“. მატჩის ანგარიშია 3:3 (0:0). ქუთაისელთაგან გოლები გაიტანეს ხაჟალიამ (2) და ხვრხვაძემ. თბილისელთაგან სამივე გოლის ავტორია დათუნაშვილი (სხვათა შორის, ამ წელიწადს დათუნაშვილი საუკეთესო ბომბარდირი იყო — 20 ბურთი).

1967 წლის 20 ნოემბერს თბილისელებმა ლუგანსკის „ზარია“ მიიღეს. ფრე — 3:3. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს გაგაშელმა, მეტრველმა და იამანიძემ.

ა. ფხეიძე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გათამაშების საბოლოო ცხრილი

III ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	40	24	10	6	57—20	58
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	40	19	12	9	58—29	50
„დინამო“ (მახაჩყალა)	40	17	16	7	30—18	50
„ვოლგა“ (გორკი)	40	17	13	10	54—28	47
„რუბინი“ (ყაზანი)	40	19	9	12	52—31	47
„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)	40	15	15	10	40—32	45
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	40	14	13	13	45—38	41
„დინამო“ (ბათუმი)	40	13	15	12	44—39	41
„ვოლგარი“ (სტრავიანი)	40	13	14	13	46—46	40
„ზენიტი“ (იჟევსკი)	40	13	14	13	35—42	40
„ფოლადი“ (სუმგაითი)	40	15	10	15	34—42	40
„ზვეზდა“ (პერმი)	40	11	17	12	30—37	39
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	40	13	11	16	49—50	37
„სპარტაკი“ (ეოშკარ-ოლა)	40	11	15	14	34—36	37
„ტორპედო“ (ტაგანროგი)	40	13	11	16	33—39	37
„ვოლგა“ (ულიანოვსკი)	40	14	8	18	43—58	36
„სტროიტელი“ (უფა)	40	11	11	18	41—54	33
„მეშაფტე“ (ტუიბული)	40	7	19	14	35—48	33
„თერგი“ (გროზნო)	40	9	13	18	46—55	31
„ზირაკი“ (ლენინაკანი)	40	9	11	20	28—56	29
„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი)	40	7	15	18	30—61	29

„ჟ“ ჯგუფი

ნაკრებიდან ნაკრებისკენ

აბაშა

ძველ აბაშაში კარგად მუშაობს სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივი. აქ შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის სექციები. სოფლის ორ სტადიონზე, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნებზე ხშირად ეწყობა შეჯიბრებები. ამ ბოლო დროს ფეხბურთელებმა 5 ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ხუთივე მოიგეს.

რ. ჭანტურია.

წულუკიძე

საქართველოს ალკა წულუკიძის რაიკომისა და რაიონის სპორტკავშირის ინიციატივით ქალაქის ქუჩებში ჩატარდა მძლეოსნური ესტაფეტა — ქალაქის რკალი (1880 მ). 8 ეტაპად დაყოფილ ტრასაზე 10 კოლექტივის 80 სპორტსმენი გამოვიდა. გამარჯვება მოიპოვა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის გუნდმა — 4.20,2, II ადგილზეა სოფელ ივანდიდის საშუალო სკოლის ნაკრები, ხოლო III— სოფელ დედალაურის სკოლის კოლექტივი.

ტ. ჯაფარიძე,
შეჯიბრების მთავარი მხაჟი.

ადიგენი

ჩატარდა მძლეოსნური ესტაფეტა 4×400 მეტრზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 8 საშუალო სკოლის გუნდები. I ადგილი დაიკავეს სოფელ არალის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ნ. მამულაშვილი,
სპორტული სკოლის დირექტორი.

რეკორდიც!

ავჭალის სასროლეთზე გრძელდება რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ტურნირის მეორე დღეს ვაეები მსხვილკალიბრიანი რევოლვერით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველი 30 გასროლის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვ. სალუქვაძე (თბილისი), რომელმაც მრგვალ სამიზნეებზე სროლაში 300 შესაძლებლიდან მხოლოდ 8 ქულა დაკარგა. მასთან ერთ ქულას აგებდა თბილისის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ე. კარტაშიანი, ხოლო ოსტატობის კანდიდატი კ. ჭინჭარაული (თბილისი) 290 ქულით III ადგილზე იყო.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, სპორტის ოსტატმა მ. ჟამურაშვილმა (თბილისი) 288 ქულა დააგროვა, მაგრამ წარმატების იმედს მაინც არ კარგავდა. მართლაც, სილუეტებზე სროლაში ჟამურაშვილმა 300-დან 296 ქულა მოაგროვა, ტურნირის ლიდერმა სალუქვაძემ კი 2 ქულით ნაკლები. საბოლოოდ, რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა სალუქვაძე (600-დან 586 ქულა). ჟამურაშვილმა, რომელიც თბილისის ჩემპიონატში მეორე იყო (მაშინ მან კარტაშიანთან წააგო), ახლაც II ადგილი დაისაკუთრა — 584. კარტაშიანი ამჯერად III ადგილს დასჯერდა — 580.

გუნდურ ჩათვლაში თბილისელთა კვარტეტმა (სალუქვაძე, ჟამურაშვილი, კარტაშიანი, მ. პაპავა) 2325 ქულა მოაგროვა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ქალებიც ამ ვარჯიშს ასრულებდნენ, ოღონდ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით. 30 გასროლის შემდეგ დაწინაურდა თბილისელი სპორტის ოსტატი ო. კუდრიავცევა, რომელმაც მრგვალ სამიზნეებზე სროლაში 288 ქულა აჩვენა. სილუეტებზე სროლაში ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელი, 14 წლის პირველთანრიგოსანი ვ. მერკინა — 291. ორივე ვარჯიშის ჯამში ჩემპიონობა კუდრიავცევას დარჩა — 574. II და III ადგილებზე გავიდნენ ქუთაისელი დები, სპორტის ოსტატები ტატიანა და თამარ კობოსნიძეები. ტატიანამ II ადგილი ასპარეზობის დამთავრებისთანავე მოიპოვა (568 ქულა), უმცროსმა დამ კი III ადგილი დამატებით სერიაში გამარჯვებით დაიკავა, ვინაიდან მას და აფხაზეთის გუნდის წევრს ნ. კულაშვილს ძირითადი შეჯიბრებისას ერთნაირი შედეგი (560) ჰქონდათ.

გუნდური პირველობა, რა თქმა უნდა, თბილისელებმა (კუდრიავცევა, მერკინა, ტ. კაზარიანი — 1682) მოიპოვეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ თბილისელები.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

* * *



სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში ა. პოპოვა და ს. ფარულავა.

ფოტო ავტორისა.

კასპელებმა თასი შეინარჩუნეს

გლდანში ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ფინალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

ტურნირში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები, აგრეთვე, ახმეტის, გორის, ლენტეხის, მესტიის, მცხეთის, გარდაბნის, სამტრედიის, ზუგდიდისა და კასპის რაიონების კოლექტივები.

როგორც მოსალოდნელი იყო, შარშანდელმა ჩემპიონმა — კასპის რაიონის გუნდმა ფინალური ტურნირიც ძლიერად ჩაატარა და 24 საჯარიმო ქულით I ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ პირად ჩათვლაში 5 კასპელი ფალავანი გახდა ჩემპიონი. კასპის გუნდმა შეინარჩუნა გარდამავალი თასი.

II ადგილი დაიკავეს სამტრედიელმა სპორტსმენებმა, III—გორელებმა.

პირად ჩათვლაში საზოგადოების ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: შკუანმა (მესტია), ბეინიშვილმა (კასპი), გუგავამ (სამტრედია), გუთნიაშვილმა, ბალხამიშვილმა, შეშაბერიძემ, გუჯეჯიანმა და ტატულაშვილმა (ყველა — კასპი).

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კასპი.

14 რაიონის ნაცვლად 6...

ახლახან სამტრედიაში, „ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა პირად-გუნდური ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს ბ. ოთარაშვილმა, ნ. იანტბელიძემ (ორივე — სამტრედია), ა. გელოვანმა (ლენტეხი), ა. ქურასბედიანმა (სამტრედია), გ. ქურასბედიანმა, ტ. ხვალიანმა (ორივე — ლენტეხი), გ. ვეფხვაძემ (ორჯონიკიძე) და ჯ. ნიკარაძემ (სამტრედია).

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა სამტრედიის გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ ლენტეხის, III — წულუკიძის მოჭიდაკეები.

შეჯიბრება კარგად ჩატარდა, მაგრამ მასში 14 რაიონის ნაცვლად მხოლოდ 6 რაიონის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა, ამასთან, ზესტაფონის ნაკრებმა თვითნებურად მიატოვა შეჯიბრება.

ჯ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის სტუდენტების მიერ შექმნილი ამ სარბოლი მანქანით ინსტიტუტის უფროსმა მექანიკოსმა ვ. ნიკიტინმა (მანქანასთან დგას) სისწრაფის სამი საკავშირო რეკორდი დამყარა. ავტომობილი, რომელსაც 300 ცხენის ძალის სიმძლავრის რვაცილინდრიანი ძრავა აქვს, საათში 300 კილომეტრამდე სისწრაფეს ავითარებს.

ახლა ამ მანქანის ნახვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე შეიძლება.

ფოტო ნ. კულეშოვისა (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲮᲕᲓᲐᲗ

ამას წინათ ფოთში ჩატარდა საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ღია პირად-გუნდური პირველობა ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ასკ-ს (თბილისი), „ლოკომოტივის“, „დინამოს“, „ვოდნიკის“, „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდები, აგრეთვე, რამდენიმე კარგად მომზადებული სპორტსმენი ვილნიუსიდან და ზაპოროჟიედან. სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პროგრამის ზოგიერთ სახეობაში საპრიზო ადგილები სწორედ მათ მოიპოვეს. ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრებაში ვილნიუსელთა წყვილმა (ა. სიმონავიჩუსი და ე. გერასიმოვი) ერთი წამით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული სპორტის ოსტატები თ. ხუბერაშვილი და ო. მარეხაშვილი („ლოკომოტივი“). სტუმრებმა საქართველოს ჩემპიონების სახელი დაისაკუთრეს. პრიზიორთა ორივე წყვილის შედეგი ბევრად სჯობს საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმას.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სპორტსაზოგადოებების საბჭოები აღნიშნულ ღონისძიებას სერიოზულად მოეკიდნენ და ხელი შეუწყვეს თავიანთი სპორტსმენების წარმატებას. ეს განსაკუთრებით ითქმის არმიელთა სპორტკლუბისა და „ლოკომოტივის“ საბჭოებზე, რომელთაც ძლიერი ნიჩბოსნებით დაკომპლექტებული გუნდები წარმოადგინეს. სხვა საზოგადოების გუნდებმა მათ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს გუნდური გამარჯვებისთვის ბრძოლაში.

ტურნირმა ცხადყო ისიც, რომ ჩვენი მწვრთნელების ნაწილი აღსაზრდელებს სათანადოდ ვერ ასწავლის შეჯიბრების წესებს. ზოგჯერ წესს არღვევდნენ გამოცდილი ოსტატებიც კი, რითაც აქვეითებდნენ გუნდის მაჩვენებელს.

ასპარეზობამ გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდა კანოისტები, რომლებმაც ფავორიტებიც კი დაამარცხეს. დავასახელოთ, მაგალითად, ორადგილიანი კანოერით 1000 მეტრზე რბოლაში გამარჯვებულნი ვ. ისაევი და მ. აფხაზავა („ვოდნიკი“).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს არმიელთა სპორტკლუბის წარმომადგენლებმა. II ადგილზეა „ლოკომოტივი“, III — „დინამო“.

Გ. ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. ერთადგილიანი. ვ. პონომარენკო (ასკ) — 2.20,0, თ. ტოლკაჩოვი („დინამო“) — 2.25,0, თ. მოლჩანოვა („ლოკომოტივი“) — 2.26,0; **ორადგილიანი.** ლ. ბესპალოვა — პონომარენკო — 2.11,0, Ო. გაიდიტე — ი. შაულიტე (ვილნიუსი, პირადი) — 2.13,4, ნ. კობზიძე — მოლჩანოვა — 2.16,8; **ოთხადგილიანი.** ასკ (ბესპალოვა, ს. გერასიმენკო, ნ. ვიქტოროვა, ს. მიხაილოვა) — 2.05,8; **ესტაფეტა 4×500 მ.** ასკ (პონომარენკო, ბესპალოვა, მიხაილოვა, ვიქტოროვა), „ლოკომოტივი“, „დინამო“.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ. ბაიდარა 500 მ. ერთადგილიანი. ლ. მოისეევი („ბურევესტნიკი“) — 2.00,5, ვ. კრატასიუკი (ასკ) — 2.10,0, ნ. ლონანკინი („ლოკომოტივი“) — 2.04,8; **ორადგილიანი.** ა. სიმონავიჩუსი — ე. გერასიმოვი — 1.40,0, ო. მარეხაშვილი — თ. ხუბერაშვილი—1.41,0, ვ. კომაროვი — ჯ. თიბილაშვილი („ლოკომოტივი“) — 1.51,8; **ესტაფეტა 4×500 მ.** ასკ (ა. მატკავა, კრატასიუკი, ი. ტურუკინი, ვ. როსტიაშვილი), „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“; **1000 მ. ერთადგილიანი.** მატკავა — 4.03,2, ტურუკინი — 4.04,4, ვ. პოკრიშჩენკო („ბურევესტნიკი“) — 4.05,5; **ორადგილიანი.** ბ. მხეიძე — პოკრიშჩენკო — 3.43,5, სიმონავიჩუსი — გერასიმოვი — 3.44,7, მარეხაშვილი — ა. ოლენიკი — 3.47,8; **ოთხადგილიანი.** „ბურევესტნიკი“ (მხეიძე, გ. მამულაშვილი, ა. კაპანაძე, მოისეევი) — 3.30,4, „ლოკომოტივი“ — 3.35,1 ასკ—3.36,7; **10.000 მ. ერთადგილიანი.** მატკავა — 51.55,0, კრატასიუკი — 54.05,0, ვ. კოტეინიკოვი („ბურევესტნიკი“) — 55.51,1; **ორადგილიანი.** ი. კვანტრიშვილი — ა. ივანოვი („ვოდნიკი“) — 47.11,0, ა. სკოტარენკო — ვ. იურჩენკო (ასკ) — 48.27,0, ვ. ბუგაევი — ვ. გელეტი (ზაპოროჟიე, პირადი) — 48.37,0; **ოთხადგილიანი.** ასკ (ა. არჯევანიძე, ბ. არაზმაძე, როსტიაშვილი, ტურუკინი) — 44.30,0, „ლოკომოტივი“ — 47.46,2, „დინამო“ — 49.17,3. **კანოე. 1000 მ. ერთადგილიანი.** ჯ. ხოშუბაევი — 4.34,8, მ. კანოგინი (ორიგე — ასკ) — 4.38,1, ვ. მაკროვი (პირადი) — 4.39,8; **ორადგილიანი.** ისაევი — აფხაზავა — 4.19,1, ა. ჩეხი — ვ. ცვეტოვი (ვილნიუსი, პირადი) — 4.20,2, ე. მანაფოვი — ვ. პარასკევოვი (ასკ) — 4.22,2; **10.000 მ. ერთადგილიანი.** ხოშუბაევი — 56.25,0, ი.მიქაძე („განთიადი“) — 59.39,0, ვ. ბიცზელი („დინამო“) — 1:00.45,0; **ორადგილიანი.** თ. ჩიტაია — ვ. სარია („ბურევესტნიკი“) — 54.07,0, მანაფოვი — პარასკევოვი—55.25,0, ტ. წივწივაძე — ნ. ნიკიფოროვი („განთიადი“) — 56,52,0; **ესტაფეტა 4×500 მ.** ასკ (ხოშუბაევი, კანოგინი, მანაფოვი, პარასკევოვი)—10.10,0, „ლოკომოტივი“—10.14,0, „განთიადი“ — 10.28,3.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲪ...

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ცნობილმა მიმომხილველმა ლენჩერმა გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშეთა სია წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით. ლენჩერმა განმარტა, რომ სიის შედგენის დროს მან გაითვალისწინა არა მარტო უიმბლდონის, პარიზის (საფრანგეთის ღია ჩემპიონატი), ფორესტ-ჰილის (აშშ-ს ღია ჩემპიონატი), ჰამბურგის (გერმანის ღია ჩემპიონატი) ცნობილი შეჯიბრებების, არამედ პროფესიონალთა და მოყვარულთა მრავალი სხვა ტურნირის შედეგებიც. პროფესიონალთა სიის შედგენის დროს ლენჩერმა უურადღება გაამახვილა, პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გამართული ჩემპიონატების შედეგებზე.

აი, ლენჩერის აზეულები:

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ: 1. ლეივერი, 2. ნიუკომბი, 3. როზუელი, 4. როჩე, 5. რალსტონი, 6. გონზალესი, 7. ბუხჰოლცი, 8. პილიჩი, 9. ემერსონი, 10. დრისდეილი.

ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘ: 1. აში, 2. ო'კერი, 3. გრებნერი, 4. ხანტანა, 5. პასარელი, 6. მეტრეველი, 7. რიჩი, 8. მალიგანი, 9. ბუნგერტი, 10. ჰევიტი.

ლენჩერმა აღნიშნა, რომ ჰოლანდიელი ო'კერის მოქცევა მოყვარულთა შორის რამდენადმე პირობითია. ფორესტ-ჰილში, მაგალითად, ო'კერმა ჯილდოდ 12500 დოლარი მიიღო, მაგრამ ბევრ შეჯიბრებაში მისთვის არავითარი გასამრჯელო არ მიუციათ. ამას გარდა, დევისის თასის გათამაშებაში იგი გამოდის, როგორც მოყვარული.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

გაიყიდა... გუნდი

კალათბურთის მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი პროფესიული კლუბი „ჰარლემ გლობ ტროტერსი“. კალათბურთის ჯადოქრები მოსკოვშიც ასპარეზობდნენ და მსოფლიოს ბევრი დიდი ქალაქი აქვთ მოვლილი. რამდენიმე თვის წინ ეს სახელგანთქმული გუნდი... აუქციონით გაყიდეს. მთელი გუნდის გაყიდვა სპორტის ისტორიას არ ახსოვს.

რა მოხდა?

როცა „ჰარლემ გლობ ტროტერსის“ ადრინდელი პატრონი გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრეებმა გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ გუნდი. „ჰარლემ გლობ ტროტერსის“ შეძენა მოისურვეს ორმა სატელევიზიო კომპანიამ და მილიონერთა ჯგუფმა. ბოლოსდაბოლოს გუნდი გაიყიდა 4 მილიონ დოლარად. ახალმა მეპატრონეებმა ყველაფერი აწონდაწონეს და იანგარიშეს, რომ ყოველგვარი ხარჯები ანაზღაურდებოდა. საჭიროა მხოლოდ, რომ კალათბურთელები რაც შეიძლება მეტს მოგზაურობდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში და მეტს თამაშობდნენ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი უახლოესი ამხანაგური თამაშებისთვის ემზადება ასეთი შემადგენლობით: **მეკარეები** — ბენქსი და უესტი; **დაცვა და ნახევარდაცვა** — ნიუტონი, რაიტი, ჰანტერი, ლაბონი, მური, მალერი, მაკნაბი; **თავდასხმა**— ბოლი, ბელი, რ. ჩარლტონი, ჰანტი, ჰერსტი, პეტერსი, ტომსონი. ნაკრებში ორი ახალი მოთამაშეა — მაკნაბი „არსენალიდან“ და უესტი „ევერტონიდან“.

● **ᲒᲚᲐᲖᲒᲝ.** დანიის ნაკრების მოთამაშე იენსენი, რომელიც შოტლანდიის „მორტონში“ გამოდის, ამ დღეებში წარსდგა სასამართლოს წინაშე სიმთვრალეში მანქანის მართვის გამო. მას 2 წლით ჩამოერთვა მძღოლის უფლება და დაჯარიმდა 60 გირვანქა სტერლინგით.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებია და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცნობილმა მეკარემ ჯ. გრეგმა, რომელიც 1958 წელს მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა, გამოაცხადა, რომ თავს ანებებს თამაშს და III ლიგის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი ხდება. გრეგი 35 წლისაა.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲪ...

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ცნობილმა მიმომხილველმა ლენჩერმა გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშეთა სია წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით. ლენჩერმა განმარტა, რომ სიის შედგენის დროს მან გაითვალისწინა არა მარტო უიმბლდონის, პარიზის (საფრანგეთის ღია ჩემპიონატი), ფორესტ-ჰილის (აშშ-ს ღია ჩემპიონატი), ჰამბურგის (გერმანის ღია ჩემპიონატი) ცნობილი შეჯიბრებების, არამედ პროფესიონალთა და მოყვარულთა მრავალი სხვა ტურნირის შედეგებიც. პროფესიონალთა სიის შედგენის დროს ლენჩერმა უურადღება გაამახვილა, პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გამართული ჩემპიონატების შედეგებზე.

აი, ლენჩერის აზეულები:

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ: 1. ლეივერი, 2. ნიუკომბი, 3. როზუელი, 4. როჩე, 5. რალსტონი, 6. გონზალესი, 7. ბუხჰოლცი, 8. პილიჩი, 9. ემერსონი, 10. დრისდეილი.

ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘ: 1. აში, 2. ო'კერი, 3. გრებნერი, 4. ხანტანა, 5. პასარელი, 6. მეტრეველი, 7. რიჩი, 8. მალიგანი, 9. ბუნგერტი, 10. ჰევიტი.

ლენჩერმა აღნიშნა, რომ ჰოლანდიელი ო'კერის მოქცევა მოყვარულთა შორის რამდენადმე პირობითია. ფორესტ-ჰილში, მაგალითად, ო'კერმა ჯილდოდ 12500 დოლარი მიიღო, მაგრამ ბევრ შეჯიბრებაში მისთვის არავითარი გასამრჯელო არ მიუციათ. ამას გარდა, დევისის თასის გათამაშებაში იგი გამოდის, როგორც მოყვარული.

ᲥᲮᲘᲠᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

● **ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ,** 14 ნოემბერი. „ფლორიასკას“ დარბაზში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება „ბუქარესტის თასზე“. ტურნირში თბილისის „ბურევესტნიკიც“ თამაშობს. ასპარეზობის პირველ დღეს იუგოსლავიელებმა დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები (27:18), ხოლო რუმინეთის ახალგაზრდულმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია უნგრეთის ნაკრებს — 20:19.

● **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ,** 14 ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები — შვეციის ჰოკეისტები გუშინდელ ემშადეანან მომავალი „ყინულოვანი ბრძოლებისთვის“. კანადელებთან ამასწინანდელი მატჩების შემდეგ ისინი ზედიზედ ექვს საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ ჩეხოსლოვაკიელებთან, ფინელებთან და ამერიკელებთან.

● **ᲢᲝᲙᲘᲝ,** 14 ნოემბერი. ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა აქ ანგარიშით 14:6 დაამარცხა „სეიბუ ტეცუდო“.

ᲛᲔᲙᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

16 წლის მეკინგი (ბრაზილია) ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოჭადრაკედ ითვლება მსოფლიოში. იგი ცოტას, მაგრამ დიდი წარმატებით თამაშობს, ბევრ დროს ანდომებს მეცადინეობას სკოლაში. მისი ბოლო ინტერვიუ, ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს.

● **როგორია თქვენი საჭადრაკო გეგმები?**

— მე სკოლაში ვსწავლობ და ამიტომ არ ვიცი, სად ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა ვითამაშო საბჭოთა კავშირში გამართულ რომელიმე ძლიერ ტურნირში.

● **დაგვისახელეთ მსოფლიოს სამი უძლიერესი მოჭადრაკე.**

— პეტროსიანი, სპასკი და ფიშერი.

● **ითამაშებთ თუ არა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში 1969 წელს?**

— როგორც ჩანს, არა. ძალიან დაკავებული ვარ და არც ტურნირი იწვევს ჩემში დიდ ინტერესს.

● **დასახელეთ თქვენი საყვარელი მოჭადრაკე, თქვენი მასწავლებელი.**

— ხოსე რაულ კაპაბლანკა.

* * *

დასასრულს მეკინგმა განაცხადა, რომ საშუალება არა აქვს სისტემატურად იმუშაოს საჭადრაკო თეორიის შესასწავლად. იგი ოსტატდება მხოლოდ შეჯიბრების დროს.

„ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲔᲑᲘᲗ“... ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 14 ნოემბერი. დღეს სსრ კავშირის დედაქალაქიდან ლონდონის გზას დაადგა ოთხი „მოსკვიჩი“. მანქანები წაიყვანა ათმა ცნობილმა ავტომრბოლელმა, რომელთაც სათავეში უდგას სსრ კავშირის ცენტრალური ავტომოტოკლუბის უფროსი, სპორტის ოსტატი ა. იპატენკო. 24 ნოემბერს საბჭოთა სპორტსმენები ამ „მოსკვიჩებით“ აიღებენ სტარტს მარათონული რალისა: ლონდონი — სიდნეი. მრბოლელებმა უნდა დასძლიონ 16 ათასი კმ. ბომბეიდან 70 საუკეთესო ეკიპაჟი, რომლებიც გრაფიკში ჩაეტევიან, გემით ავსტრალიაში გადავა.

სპორტსმენები ნაწილობრივ გაეცნენ რბოლის ტრასას. ზოგიერთნი, უმთავრესად, შტურმანები, გზების დასთვალიერებლად თურქეთში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანსა და ინდოეთში იყვნენ. საამისოდ მათ სტანდარტული „მოსკვიჩები“ გამოიყენეს და ზემოჩამოთვლილი ქვეყნების გზების პირობებში მანქანების „საქციელი“ შეაფასეს. რალის ერთ-ერთი მონაწილე — ტალინელი ინჟინერი უ. აავა ავსტრალიაშიც კი იყო და ამ კონტინენტზე მდებარე ტრასას გაეცნო. თავის მოგზაურობაზე აავამ მთელს გუნდს მოუთხრო. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ ავსტრალიური ტრასის 800 კილომეტრზე მეტი უდაბურ ველებში გადის, თანაც, ყოველი შემთხვევისთვის გადაწყდა — მანქანებს წინ სპეციალური ფერმები დაუყენონ... კენგურუებთან შესახვედრად.

საბჭოთა სპორტსმენები ასპარეზობენ „მოსკვიჩებით“, რომლებიც ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან სხვა ათას მცირელიტრაჟიან მანქანასთან ერთად ამ თვენახევრის წინ ჩამოვიდა. მართალია, მათ დამატებით შემოწმება გაიარეს და რალისთვისაც საგანგებოდ არიან აღჭურვილი. შერჩეულია, აგრეთვე, სათადარიგო ნაწილების კომპლექტი და რეზინის საჭირო ხარისხი.

საბჭოთა ავტომრბოლელებს უკვე აქვთ სამამულო მანქანებით — „მოსკვიჩებითა“ და „ვოლგებით“ რალიში მონაწილეობის გამოცდილება შეეციაში, ავსტრიაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ეთიოპიაში. ვუსურვოთ მათ კეთილი გზა და წარმატება ამ რთულ და საინტერესო შეჯიბრებაში.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და „ზეთ „ლელოს“ რედაქცია იუ წყებიან შ. იამანიძის მამას

დავით ᲑᲔᲖᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ

ᲘᲐᲛᲐᲜᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უმ 11096